პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 • სამშაბათი 3 იანვარი • № 2 (17046) • ფასი 2 კაპ. 1978

**დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი—დღევანდელზე უკეთ!**

**უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ ხარისხს, ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.**

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“.**

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებულ სასკოლო სახელმძღვანელოთა უფასო გაცემას დიდი პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. სასკოლო სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობა, რაც ჩვენს ქვეყანაში იქნება შემოღებული, ხელს შეუწყობს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების პირობების გაუმჯობესებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას. ეს ღონისძიება აამაღლებს აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოების, პედაგოგთა კოლექტივების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამომცემლობების პასუხისმგებლობას სასწავლო წიგნის იდეურ-თეორიული დონისა და მისი გამოყენების ეფექტიანობისათვის.

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების ორგანოებმა, სასწავლო პედაგოგიურმა გამომცემლობებმა გარკვეული დადებითი მუშაობა გასწიეს ამ დარგში. სკოლას ძირითადად დროზე უზრუნველყოფენ სახელმძღვანელოებით სასწავლო წლის დაწყებისათვის. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში შეძენილია სკოლების ბიბლიოთეკათა ფონდებიდან სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობის დადებითი გამოცდილება. ასეთ პრაქტიკას ფართოდ დაუჭირეს მხარი და აღიარეს პედაგოგთა, მოსწავლეთა კოლექტივებმა და მშობელთა საზოგადოებრიობამ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადაყვანონ სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები 1978–1983 წლებში. დადგენილია, რომ ამიერიდან მოსწავლეთა მთელი კონტინგენტისათვის სახელმძღვანელოები სრული ტირაჟით გამოიცეს, როგორც წესი, 4 წელიწადში ერთხელ და შემდგომში დამატებით დაიბეჭდოს საჭირო რაოდენობის სასწავლო ლიტერატურა. ანბანი გამოიცეს ყოველწლიურად და დარჩეს მოსწავლეებს პირველი კლასის დამთავრებამდე.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა უნდა აამაღლონ პედაგოგთა კოლექტივებისა და ოჯახის პასუხისმგებლობა სასკოლო სახელმძღვანელოების სწორი, რაციონალური გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად საკავშირო ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალურ საბჭოს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ყველა მოსწავლეს, პიონერსა და კომკავშირელს უკეთ ჩაუნერგონ სასწავლო წიგნისადმი როგორც სახელმწიფო ქონებისადმი სათუთი დამოკიდებულება, მოაწყონ შეკიბრებები, დათვალიერებანი და კონკურსები სახელმძღვანელოების საუკეთესო შენახვისათვის.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა დაამტკიცონ ყველა ტიპის სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო უზრუნველყოფაზე გადასვლის წესი და ვადები. შეიმუშაონ სახელმძღვანელოების სასკოლო საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და განახლების პერსპექტიული და წლიური გეგმები, აგრეთვე განსაზღვრონ თითოეული კლასისა და საგნის სახელმძღვანელოების გამოცემისა და დამატებით დაბეჭდვის ვადები და ტირაჟები. ამასთანავე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან ერთად გაითვალისწინონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასკოლო სახელმძღვანელოებზე მოთხოვნილება.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ კიდევ უფრო აამაღლონ სასკოლო სახელმძღვანელოების იდეურ-პოლიტიკური დონე, გააძლიერონ მათი პოლიტიკური მიმართულობა, სრულყონ სახელმძღვანელოთა სტრუქტურა და შეამცირონ მათი მოცულობა. განახორციელონ სასწავლო გეგმის ყველა საგნის სახელმძღვანელოთა სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის გამსახკომს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება ეძლევათ განახორციელონ სასკოლო სახელმძღვანელოთა სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის გამსახკომს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება ეძლევათ განახორციელონ სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხის, მათი მხატვრული და პოლიგრაფიული შესრულების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. სისტემატურად აამაღლონ სასწავლო-პედაგოგიურ გამომცემლობათა თანამშრომლების საქმიანი კვალიფიკაცია, განამტკიცონ ისინი სასკოლო განათლების თანამედროვე შინაარსის მცოდნე სპეციალისტებით. დადგენილება ამტკიცებს, იმ პოლიგრაფიულ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებებს, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოებს უშვებენ.

სსრ კავშირის გამსახკომს, მოკავშირე რესპუბლიკების გამსახკომებს უფლება ეძლევათ სახელმძღვანელოთა სასკოლო ფონდების შექმნის შედეგად განთავისუფლებული ქაღალდის რესურსები უპირატესად გამოიყენონ სასწავლო-მეთოდიკური, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის გამოცემის გასადიდებლად.

რჩება ამჟამად მოქმედი წესი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სასკოლო სახელმძღვანელოების მიტანა და განაწილება ხდება სსრ კავშირის გამსახკომისა და „ცენტროსოიუზის“ წიგნის ვაჭრობის ქსელის მეშვეობით სახალხო განათლების ორგანოების განწესების შესაბამისად.

გათვალისწინებულია, რომ ყოველწლიურად გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო სახსრები იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების შექმნას, განახლებასა და გამოყენებას უკავშირდება.

პარტიულმა და საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები ორგანიზებულად გადავიდნენ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე ამ დადგენილების შესაბამისად.

# დამკვრელურ წელიწადს— ამთავითვე მაღალი ტემპი და საუკეთესო ხარისხი!

**ხუთწლედის მოწინავენი**

## მათ კალენდარზე 1979 წელია

6 არმატებით დაამთავრა მეათე ხუთწლედის მეორე წელი თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლმეტნიმა. მომხმარებელმა მიიღო მილიონ ოთხასი ათასი მანეთზე მეტი ხარისხოვანი ტრიკოტაჟის ნაწარმი. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს № 1 სამმერვალო საამქროს მოწინავე მკერავებმა თ. ხუხვიაშვილმა და მ. ხომიზურამ, მათ შრომითს კალენდარზე უკვე 1979 წელია. ახალ — 1978 წლის პირველ სამუშაო დღიდან მათ კარგი სტარტი აიღეს.

ს. კილაძის ფოტო.

# „პრავდის“ ფურცლებზე

ხუთწლედის მესამე წლის [illegible] ბოლოს [illegible] პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, [illegible] — „ხუთწლედის მესამე წელი [illegible] ტალლებებმა საბჭოთა ადამიანები შეაჯარალეს იმ დიდი ამოცანების მკაფიო გაგებით, რომლებიც უნდა განვახორციელოთ. საჭიროა, თქვა პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი. დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. ასეთია დღის ლოზუნგი, ბოლო უკეთ, — ეს ნიშნავს უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ ხარისხს, ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. სწორედ ეს არის სოციალისტური ვალდებულებები, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამეურნეო ხაჭმიანობის სული და გული“.

ორი წლის მიჯნაზე ბევრმა კოლექტივმა იკარა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები და შემხვედრი გეგმები, გაგრძელდა გაზეთის, ეკონომიკურად ღრმად დასაბუთებული ეს გეგმები ასახავს მშრომელთა მფურვალე მისწრაფებას საქმით უპასუხოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის იმ მოწოდებას, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაკარ-ბებითაც შეასრულონ 1978 წლის პროგრამა. მოსკოველთა მაგალითისამებრ ფართოვდება მასობრივი მოძრაობა, რომლის მიზანია ხუთწლედის პირველი სამი წლის დავალებანი შესრულდეს 7 ოქტომბრისათვის, სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის. ავითარებენ რა სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა აქტივობას, პარტიულმა კომიტეტებმა საერთო ყურადღება უნდა მიაპყრონ წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის ბრძოლის მთავარ მიმართულებებს, მტკიცედ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, დაწინაურონ ჩამორჩენილნი.

საბჭოთა ადამიანები გულთბილად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხაიბალწლო მოლოცვას, მათ კეთილ სურვილებს, რომლებიც მიმართულია ყველა მშრომელისადმი ნათქვამია დასასრულ მოწინავეში, საკუთარ ძალებსა და დასახული გეგმების რეალობაში, სოციალისტური წყობილების უპირატესობებსა და შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებული ჩვენი ხალხი ახალი ენერგიით იბრძვის პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

სათაურით — „სსრკ მშენებლობაზე“ გამოქვეყნებულია სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ისაევის სუბარი, იგი გვაუწყებს, თუ რომელ მნიშვნელოვან გასაშვებ ობიექტებს მიექცევა წელს მშენებელთა და მონტაჟეთა კოლექტივების მთელი ყურადღება.

გაზეთის ფურცლებზე ახალი რუბრიკა გამოჩნდა — „პარტიული ცხოვრება: ვიწყებთ რა წელიწადს“. აქ გამოქვეყნებულია ტომსკელი ზეინკალ-მოვატომატის პ. აფონინის წერილი — „რეიდიდან რეიდისაკენ“, მეორე ავერდზეკე მკითხველი გაეცნობა ცნობილი ქართველი მწერლის გრიგოლ ჩიქოვანის შენიშვნებს — „ოჯახური ხუთწლედი“.

როგორც გაზეთი იუწყება, 1977 წელს რედაქციას მიღებული აქვს 570.433 წერილი.

**ПРАВДА**

# „სალუტ-6“: ფრენა პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს

**ფრენის მართვის ცენტრი, 2 იანვარი. (საკდეს). გრძელდება კოსმონავტები იური რომანენკოსა და გეორგი გრეჩკოს მუშაობა „სალუტ-6“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში.**

**დღეს ეკიპაჟს სამედიცინო ექსპერიმენტების დღე აქვს. კოსმონავტები აკვლევენ გულისა და სისხლძარღვების სისტემას ვაკუუმური კოსტიუმის „ჩიბისის“ გამოყენებით. დაგეგმილია აგრეთვე კოსმონავტთა სისხლის მიმოქცევის სისტემის კომპლექსური კვლევა და მთელი რიგი სხვა ექსპერიმენტები.**

**სამედიცინო კონტროლის მონაცემებით, ეკიპაჟის ორივე წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. მეთაურის მაჯისცემის სიხშირეა 65, ბორტინჟინრისა — 60 წუთში. არტერიული წნევა შესაბამისად უდრის ვერცხლისწყლის სვეტის 130-65 და 120-60 მილიმეტრს.**

**ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების შესაბამისად, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. „სალუტ-6“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენა გრძელდება.**

# სპეშიალის მაღალი ჯილდო

**კომუნისტური** პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ალ. პეტრე ნილის ძე **დემიჩევი** დაჯილდოვა **ოქტომბრის რევოლუციის** ორდენით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხანაგ პ. ნ. დემიჩევს გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც ნათქვამია:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, პეტრე ნილის ძევ, დაბადების 60 წლისთავს.

გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის“. (საკდეს).

# წარმატება დაეკვეთათ

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ახალი წლის პირველივე დღიდან ნაყოფიერი მუშაობა დაიკვეხეს რუსთაველმა მეტალურგებმა. წარმატებით იზრომეს საწარმოო საამქროებმა. რამდენიმე ჩქაროსნული ნადნობი გამოუშვეს მეფოლადეებმა ვ. წიქარიშვილმა, გ. ტაბატაძემ, გ. მუმლაძემ და სხვებმა. მათ შორის ვ. წიქარიშვილმა 1 საათითა და 10 წუთით აღრე განახორციელა ღნობა განახლებულ მერვე ღუმელზე და 30 ტონით მეტი ფოლადი მიიღო.

მთლიანად მემარტენეებმა 1 იანვარს 200 ტონა ზეგეგმითი ფოლადი ჩაიწერეს აქტივში. მებრძმედიებმა — 50 ტონა თუჯი. დავალების გადამეტებით გამოშვებულია აგრეთვე კოქსი, ნაგლინი, ფოლადის მილები.

ქარხნის კოლექტივმა 20 დეკემბერს შეასრულა მეათე ხუთწლედის ორი წლის მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებები, ხოლო 24 დეკემბერს პროდუქციის ყველა სახეობის მიხედვით წარმატებით განადღებულია საიუბილეო წლის დავალებაც. 29 დეკემბრიდან მეტალურგები 1978 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ს. ხარაზიშვილი.

# მხოლოდ მაღალი ხარისხი

**ჟუთაისი.** (საკ. კორ.). სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ მკერავები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოველთა ინიციატივას — ხუთწლედის სამი წლის დავალება — სსრ კავშირის **კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის.**

საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა უკვე შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მეთოთხეი საწარმოს № 1 სამკერვალო საამქრო, საგამომჭრელო და საგამომყვანო უბნები, სწორედ ეს კოლექტივები გამოეხმაურნენ მოსკოველ მშრომელთა ახალ პატრიოტულ ინიციატივას და იკალდებულეს ხუთწლედის სამი წლის დავალება კონსტიტუციის წლისთავზე გაანაღდონ. ახალი წლის სტარტზე მკერავებმა შრომის დამკვრელური ტემპი აიღეს.

**დ. გედენიძე.**

# ახალი წლის სტარტზე

მეათე ხუთწლედის მესამე სამეურნეო წელს ზესტაფონელი მეტალურგები აგიზგიზებულ ღუმელებთან შეხვდნენ. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის დირექტორმა არჩილ ცქიტიშვილმა განაცხადა.

— დამკვრელურ წელიწადს კარგი სტარტი ავაღებინეთ. წელს გეგმას გადამეტებით 2.500 ტონა ლითონი უნდა მივცეთ ქვეყანას. წარმრებაში უნდა დავნერგოთ 200 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის პირობითი ეკონომიური ეფექტი 330 ათასი მანეთი იქნება. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დავზოგავთ 85 ათას მანეთს, მივიღებთ 10 ათასი მანეთის ზეგეგმითს მოგებას და საწარმოს სიმძლავრეს გავზრდით 5,8 პროცენტით.

ახალი წლის სტარტი კარგად აიღო ქარხნის მესამე საამქროს კოლექტივმა. ელექტროფმიკოსებმა 4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს ლითონის ნიმუშების დიფური დაკალი.

ელექტროქიმიკოსები კარგ საწყისს ამზადებენ ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლის თავს. ათვისებულია დაბალგოგირდიანი მეტალური მანგანუმის წარმოება, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს ქვეყანაში სპეციალური დანიშნულების ხარისხოვანი ფოლადების წარმოების გადიდებას.

**ო. ნიქაბაძე.**
„კომუნისტის“ სპ. კორ.

# დამკვრელური შრომით

მეათე ხუთწლედის მესამე წლის პირველი დღეები დამკვრელური შრომით დაიწყო გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის (დირექტორი ა. რაზმაძე) მშრომელებმა. ორ დღეში სახელმწიფოს მიაყიდეს 9.000 კილოგრამი რძე. ეს შარშანდელ ამავე პერიოდს 2.500 კილოგრამით ჭარბობს. ფერმის მოწინავე მწველავმა ლუბა მაისურაძემ მარტო ერთ დღეს მოსავლელად მიმაგრებულ ძროხებზე მიიღო 200 კილოგრამი რძე, შარშანდელ ერთ დღესთან შედარებით 80 კილოგრამით მეტი.

სწრაფად მიმდინარეობს მიხვრად სასუქების შეტანა, მწვრივთაშორის ნიადაგის ხვნა და შვრიის თესვა. გუშინ 2 იანვარს მექანიზატორებმა ოთარ ქვრსაძემ, დავით გვარაშვილმა და არჩილ ძმანაშვილმა თითოეულმა შვრიის თესვის დღიური ნორმა ასორმოცდაათი პროცენტით შეასრულეს.

(„კომუნისტის“ კორ.).

# საახალწლო ნოგათეგი

**თბილისი.** („კომუნისტის“ კორ.). მეათე ხუთწლედის მესამე წელს მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს დედაქალაქის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც რვა დეკემბრიდან უკვე ახალ — 1978 წლის ანგარიშში მუშაობს.

**ბათუმი.** (საკ. კორ.). აჭარის სახელოვნამ მეთამბაქოეებმა ვადამდე 30 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შესრულეს სახელმწიფოსათვის ხმელი თამბაქოს მიყიდვის გეგმა-ვალდებულება: 3.510 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 3.526 ტონა თამბაქო. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 670 ტონით მეტი ხმელი თამბაქო. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზუახევისა და ქედის რაიონები.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვა გრძელდება.

**ჭიათურა.** მანგანუმის სამთამადნო კომბინატის კოლექტივმა თავდადებული შრომით მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს და 20 დეკემბრისათვის ქვეყანას სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი დავალების შესრულება უპატაკა.

ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ მოსკოველთა ინიციატივას — ხუთწლედის სამი წლის დავალება — სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი წლისთვისათვის — აქედანვე მყარ საფუძველს უყრიან მეათე ხუთწლედის მესამე წელს. (საკ. კორ.).

**მაიაკოვსკი** რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებებს აღწევენ საიუბილეო წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ **გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 632 ტონის ნაცვლად 635 ტონა ხორცი, 1440 ტონის ნაცვლად 1.452 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი და 850 ტონის ნაცვლად 851 ტონა ბოსტნეული მიჰყიდეს სახელმწიფოს.**

ხორცის დამზადება გრძელდება.

ეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მეორე მდივანმა **ვ. აბულაძემ** და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. კობოძემ.**

**გეგეჭკორის** რაიონის მეცხოველეებმა ჯერ კიდევ 25 დეკემბრისათვის საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 1.492 ტონის ნაცვლად 1.525 ტონა რძე და 1.241 ტონის ნაცვლად 1.252 ტონა ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს. ახალი წლის პირველ ორ დღეს, ათეულობით ცენტნერი რძე მიიღეს.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

ეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. მოწეულიამ** და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **კ. ახათინმა.**

# ეოსავლის გადიდების საფუძველი

**წითელწყაროელი** მევენახეები, რომლებმაც საიუბილეო წლის რთველი სასახელო მიჰგებლებით დაამთავრეს, მტკიცე საფუძველს უყრიან ყურძნის მოსავლის შემდგომი გადიდების საქმეს. რაიონს გასულ წელს ვაზი 2.000 ჰექტარზე უნდა ჩაეყარა. წითელწყაროელებს ვენახი 2.000 ჰექტარის ნაცვლად უკვე 2.200 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს არბოშიკის, ჯაფარიძის, ზემო ქედის და გამარჯვების კოლმეურნეობებმა. ყველა მათგანმა ვენახის გაშენების გეგმა გადამეტებით შეასრულა. ახალი წლის მეორე დღეს რაიონის მევენახეები ასეულ ზურებში არიან. უკვე დაამშვიეს რამდენიმე ათეული ჰექტარი. — ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. გოქსაძემ,** სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ი. ფიროსმანაშვილმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ი. ხუციურაულმა.**

## მსოფლიოს ამბები

### ავგენდითი კავშირი

**ნიუ-იორკი, 2 იანვარი (საკდეს).** ისრაელთა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ურთიერთობა, **რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ვითარდება.** ამერიკის პრესის აზრით, ორი ქვეყნის კავშირურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება **1978** წლის დამდეგისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გათვალისწინებული ისრაელის ფინანსთა მინისტრის ს. ერლიხის ვიზიტის შემდეგ.

### საძრახისი როლი

**დარ-ეს-სალამი, 2 იანვარი.** (საკდეს). აფრიკის რქაზე მოვლენებში ნატოს წევრი ქვეყნების ჩარევა მკაცრად დაგმო ტანზანიის გაზეთმა „მფანია ჯაზიმ“. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი პარტნიორების ძირგამომხრელი საქმიანობა, ხაზგასმულია სტატიაში, აფრიკის კონტინენტის ამ ნაწილში ვითარების გამწვავების ერთ-ერთი მიზეზია.

### მთავრობის კრიზისი

**ანკარა, 2 იანვარი.** (საკდეს). სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ ბ. ეჯევითმა, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფ. კორუთურქმა ქვეყნის ახალი მთავრობის შედგენა დაავალა, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობისაგან მიიღო კოალიციურ საფუძველზე კაბინეტის შექმნის უფლებამოსილება. გარდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიისა, იქ შევლენ პარლამენტში წარმოდგენილი კიდევ ორი პოლიტიკური პარტიის — დემოკრატიული პარტიისა და ნდობის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, აგრეთვე რამდენიმე დამოუკიდებელი დეპუტატი.

უკანასკნელ საათს

# თათბირი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს** კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შედეგების გამო, რომელმაც განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

თათბირში მონაწილეობდნენ **საქართველოს** ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის დედაქალაქის კომკავშირის რაიკომების პირველი მდივნები, ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შარტავამ.

თათბირზე აღინიშნა, რომ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების **შესაბამისად** საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა შემოქმედებით ახალგაზრდობასთან. მაგრამ ეს მაღალი შეფასება სრულიადაც არ იძლევა თვითდამშვიდების საბაბს. იგი უნდა აღვიქვათ, როგორც რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მომავალ წარმატებათა სტიმული შემოქმედებითი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, მასში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში, მისი პროფესიული ზრდისადმი ხელშეწყობაში. (საქინფორმი).

ფიქრები და საქმენი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის შემდეგ

# მხოლოდ დისციპლინით, ორგანიზებულობით

**თუ როგორ მუშაობენ რუსთაველი მეტალურგები, როგორ ფიქრობენ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ის სხრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებები, ამაზე მოგვითხრობს თავის წერილში ცნობილი მეფოლადე ოთარ ლომიძე.**

ძველია ზუსტად გადმოსცე იმ აზრი, შინაარსი და განწყობილება, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს დაგვეტოვა ამ დღეებში გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა.

მოგეხსენებათ ამ პლენუმის მიზანი: მან კონკრეტულად ჩამოაყალიბა და გამოკვეთა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მორიგი საბრძოლო ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან, ამ პლენუმზე წარმოთქმული ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვიდან, სხრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მახალებიდან.

მე, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, განსაკუთრებით მეამყება და მახარებს იმ აზრკარა, მეტად თვალნათელი პოზიტიური შედეგები, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს სოფლად თუ ქალაქად, მრეწველობაში თუ სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა თუ კულტურის დარგში. მაგრამ აგრეთვე რაოდენ საწყენია, როცა დადებით ძვრებთან ერთად, ჯერ კიდევ გვაქვს მრავალი ნაკლი და ხარვეზი, დამახინჯება, ათასი გაუკეთებელი საქმე. ყოველივე ამაზე დაუფარავად, განსაკუთრებული გულახდილობით ითქვა პლენუმზე.

მაინც რა უფრო გვახარებს და რა გვტკენს გულს ამ ძველი და ახალი წლების მიჯნაზე?

დადი ოქტომბრის საიუბილეო და ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების წელს ბევრმა ქალაქმა და რაიონმა, ბევრმა საწარმომ და მეურნეობამ გაიმარჯვა საოცალთაო-სახალხო შეჯიბრებაში. მათ შორის პირნათლად გამოიყურება ჩემი მშობლიური საწარმოც — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. და განა მარტო წლიური გეგმის შესრულება მაქვს მხედველობაში, ქარხნის კოლექტივი ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს მთლიანი და სახალხო პროდუქციის წარმოების, რეალიზაციის მოცულობის, კოქსის, აგლომერატის, თუჯის, ფოლადის, ნაგლინისა და მილების გამოშვებია დავალებებს. ახლა უკვე ჩვენი საწარმოდან სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გადის ექვსი სახეობის ნაწარმი.

მაგრამ ჩემი მშობლიური საწარმოს ყველაზე დიდ მოგლეკად მუშაკაცის ღირსების ამაღლება, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება მიმაჩნია; აბა, როგორ არ გამახარო იმ ფაქტმა, რომ ჩვენი, მარტენის ხაამჭრის კომუნისტთა ინიციატივამ „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“ — ახე მძლავრად შეისხა ფრთები, ლაღად კაინავრდა და რესპუბლიკის თითქმის ყველა შრომითს კოლექტივში დაიდო ბინა. თვითონ ჩვენს ქარხანაში ამ წამოწყების სიკეთე ახეთია: წლინახევრის მანძილზე 36 პროცენტით შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, თითქმის ამდენივე პროცენტით იკლო რეკლამაციათა რიცხვმაც.

ამ საერთო წინსვლაში გულხელდაკრეფილნი როდი ვიყავით ჩვენი ბრიგადის წევრებიც. 1977 წელს გეგმის გადამეტებით 650 ტონა ფოლადი მივეცით ქვეყანას. პირობა გვქონდა დადებული, ყოველი მესამე ნადნობი ჩჭარონსნული ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ყოველი მეორე ნადნობი ვჭქიეთ ჩჭარონსნულად.

**ყველაზე დიდი მიღწევა კი მშრომელი კაცის რწმენის განმტკიცება, მისი შეგნების ამაღლებაა.**

ყველა სიკეთეს რომ მოვაყვე, ერთი საგაზეთო წერილი რას დაიტევს! მაგრამ ჩვენ VIII პლენუმმა განსაკუთრებული მებრძოლური სულისკვეთებით განგვაწყო. კიდევ უფრო მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა— აი რა უნდა დავამკვიდროთ ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე!

ამას წინათ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებს ქალაქის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებით დასახულ ამოცანებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ინიციატივის ფართოდ გავრცელების საფუძველზე. დაისახა დისციპლინის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკული ღონისძიებანი. რომლებიც ხელს შეგვიწყობს, რომ ხუთწლედის მესამე წელს კიდევ უფრო მონდომებით, ალალად გავისარჯოთ.

1978 წელი კი მთელ ჩვენს ქვეყანაში დამკვრელური შრომის წლად უნდა გადაიქცეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმმა თითოეული კომუნისტის მთავარ საბრძოლო ამოცანად დაგვისახა მანქანა-მოწყობილობების ეფექტიანი გამოყენება, მომჭირნეობა და ყაირათიანობა ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში, მატერიალურ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვა, გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა უთუო შესრულება, პროდუქციის ხარისხისა და საერთოდ მუშაობის ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლება.

აბა, ყველამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენი ლითონის ბურბუშელა ყრია ჩვენს საწარმოო ფართობებზე, რამდენი ძვირადღირებული მანქანა-დანადგარი ცვდება მორალურად უმოქმედობისგან?! ჩვენ, წარმოების ადამიანებმა, მით უმეტეს კომუნისტებმა, ყოველი გაცუდებული საქმისათვის მარტო საკუთარ თავს კი არ უნდა ჩავკითხოთ, არამედ მივუთითოთ, ვურჩოთ და, თუ საჭიროა, მკაცრადაც მოვკითხოთ იმათაც, რომელთა მიზეზით საქმე უკან რჩება ან ფუჭდება. სწორედ ეს ბეშმარიტება ერთხმად აღიარეს ჩემი ბრიგადის ბიჭებმა, რომელთაც პლენუმიდან დაბრუნებისთანავე შეეხვედი და დაწვრილებით მოვუყევი ყველაფერი. მათ განსაკუთრებით დაუფიქრეს მხარი პლენუმის იმ მბეკიცე კურსს, რომ მოჭარბებულობას, სპეკულაციას, მეძრომთმეობას, კერძოწესაკუთრული ფსიქოლოგიის გამოვლინებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს კიდევ უფრო მკაცრად, შეუპოვრად და მთელი სისასტიკით ვებრძოლოთ, რომ ამ მხრივ გულდამშვიდება დიდი შეცდომა იქნება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო ჩვენი პარტიული და სამეურნეო კადრების ინიციატივიან, კვალიფიციურ შრომას, მათი აღზრდისა და დოსტატებისათვის ზრუნვას. ბრიგადაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მეფოლადის ორი თანაშემწე უნდა ამეშალაფა, მაგრამ ქმაყოფილი ვარ, რომ სამივე კომკავშირელ ახალგაზრდას — ავთანდილ ფოლიძეს, თამაზ ტალახაძეს და თემურ ცაცვაკვას — დღესვე თავისუფლად შეუძლიათ შემცვლონ მე და მარტენის ღუმელში დამოუკიდებლად გამოადნონ მაღალხარისხოვანი ფოლადი ჩვენი ბრიგადის ვალდებულებაც ხომ 1978 წლისათვის ის არის, რომ მხოლოდ შეკვეთით და უმაღლესი ხარისხის ფოლადი გამოვუშვათ.

კარგ დიასახლისს მუდამ აქვს ფანჯრის რაფაზე ინდაურის ფრთა ან სხვა ნაგანი. რომლითაც დროდადრო ნტვერს გადაწმენდს ხოლმე. და აი ახალი წლის პირველ დღეებადანვე მოდით, გავაჩადოთ ახეთი შეტევა, რომ თავიდან მოვიცილოთ ყოველგვარი მტვერი, ჭუჭყი, უვარგისი. **დამამცირებელი შრომის წელს კიდევ უფრო ჯანსაღი საზოგადოებრივი კლიმატი შეაფერეს.** მეათე ხუთწლედის მესამე წლის ხალისიან, ნაყოფიერ და ეფექტიან მუშაობაში ჭერა, რომ უდიდეს დამარცხებას გაგვიწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის ნათელი შუქ.

**ოთარ ლომიძე,**

**რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.**

**ოფიციალური განცხადება**

## გავზარდოთ სოციის ფარგოება

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმ, მინისტრთა საბჭომ, რომლებიც დიდ ინტერესს ამჟღავნებენ სოციის წარმოების გადიდებას, საგრძოდ ცნეს დაიწყოს სოციის წარმოება ქვეყნის ევროპული ნაწილის სუბტროპიკულ ზონაში, ბაკურიანი, ბაკურიანი, ბეჟეულეთის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთში, ამიერკავკასიის ტერიტორიის მარცხეს მთლიანი მოსავალი შორეული აღმოსავლეთის რაიონებში.**

ამ საკითხზე მიღებული დადგენილება რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და მოლდავეთის სსრ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და საქსოფლტექნიკას ავალებს უზრუნველყონ 1978-1985 წლებში სოციის ნათესი ფართობების, განსაკუთრებით სარწყავ მიწებზე, მნიშვნელოვანი გაფართოების, მისი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რათა სადაც ეს საჭიროა, შეიქმნას სოციის ჯიშიანი თესლისა და სასაქონლო სოციის მოვლა-მოყვანის საწარმოო (სამეცნიერო-საწარმოო) გაერთიანებანი. აგრეთვე უნდა განხორციელდეს სოციის მოვლა-მოყვანისა და აღების კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, ამ კულტურას მოსავლიანობის გადიდებისა და მთლიანი მოსავლის გაზრდის, სოციის ადებისა და შენახვის დროს დანაკარგების შემცირებისა და მისი მარცვლის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

დადგენილებით გათვალისწინებულია ჯიშიანი თესლით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ოზრდაველყოფის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს ამიცათ ფიზიკურ-ქიმიური ანალიზებისა და ბიოლოგიური ანალიზების ლაბორატორიების ფართო ქსელის ორგანიზაციისათვის.

ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკის,

# საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები,

**არჩეული 1977 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ**

### ქ. თბილისი

**აბაშიძე** თამაზ ირაკლის ძე
**აბრამიძე** მაგული ნოეს ასული
**აბულაძე** თენგიზ ევგენის ძე
**ადამია** ვალიკო დომენტის ძე
**ადეიშვილი** პამლეტ აკაკის ძე
**ადეიშვილი** ლეონიდ ნოეს ძე
**აზარაშვილი** ვაჟა შალვას ძე
**ალექსანდრია** გიორგი ნესტორის ძე
**ამაშუკელი** ელგუჯა დავითის ძე
**ანდღულაძე** ჯემალ სილიბისტროს ძე
**ანდრიაძე** მირიან შოთას ძე
**ანდრონიკაშვილი** ლიანა ალექსანდრეს ასული
**აფაქიძე** ანდრია მელიტონის ძე
**აფაქიძე** ირაკლი გრიგოლის ძე
**აფხაზავა** ზაურ სტეფანეს ძე
**არაქელოვა** ნინო მარტიროსის ასული
**არზუმანოვი** ლევან არკადის ძე
**არაშვილი** ნიკოლოზ თეოფილეს ძე
**არჩაია** თამარ გიორგის ასული
**არჩვაძე** ლილი კონსტანტინეს ასული
**ასათიანი** ვლადიმერ ალექსის ძე
**ასათიანი** ლეონილა კონსტანტინეს ასული
**ასლამაძე** იზოლდა ხარდიონის ასული
**ახრახაძე** დავით სიმონის ძე
**ბაძაღუა** ვლადიმერ მიხეილის ძე
**ბაქანიძე** ოთარ აკაკის ძე
**ბაქრაძე** ტარიელ ლუკას ძე
**ბარამიძე** ლეგრი გრიგოლის ძე
**ბარამიძე** ეთერ გრიგოლის ასული
**ბეჟანოვი** თოიერ ხანიატურის ძე
**ბერიძე** ვახტანგ გუკოლის ძე
**ბაინდურაშვილი** დავით ალექსის ძე
**ბოხოჩაძე** ლია სერგის ასული
**ბუთხუზი** დალი სიმონის ასული
**ბუცუერეიშვილი** მიხეილ ბათლომეს ძე
**გამრეკელი** სოფიო იოსების ასული
**გრიბუროვა** ეკატერინე ვლადიმერის ასული
**გუბელაშვილი** კარლო თეოდორეს ძე
**გუგეშაშვილი** იროდიონ ვალერიანის ძე
**გურგენიძე** დავით ვარლამის ძე
**გუგუჩია** ნოდარ რამინის ძე
**გოგოშიძე** პაპა გიორგის ასული
**გამგონიძე** უშანგი გიორგის ძე
**გამყრელიძე** თამაზ ვალერიანის ძე
**გახიტაშვილი** გურამ სიმონის ძე
**გაჩეჩილაძე** მანანა დავითის ასული
**გვერდწითელი** ილია მიხეილის ძე
**გელაძე** ნოდარ ილიას ძე
**გელაშვილი** ლილი ნოეს ასული
**გელაშვილი** ლილი სერგის ასული
**გელეიშვილი** ქეთევან ზურაბის ასული
**გეფერიძე** ელენე მიტროფანეს ასული
**გერშტენბლატი** ალექსი მოსეს ძე
**გიორგაძე** თენგიზ შალვას ძე
**გოგოხია** ლილი ვლადიმერის ასული
**გონჯილაშვილი** იზა სიმონის ასული
**გორგიაშვილი** ბენიამინ ბესარიონის ძე
**გორდეზიანი** რისმაგ ბენიამინის ძე
**გოგიძე** რევაზ ივანეს ძე
**გრიგოლია** ტრისტან გრიგოლის ძე
**გრიგოლავა** ვლადიმერ ვლადიმერის ძე
**გრიგოლია** ალექსანდრე შალვას ძე
**დუმბაძე** ლილი ვასილის ასული
**ედიშერაშვილი** ალექსანდრე კონსტანტინეს ძე
**ერაძე** ვარდო კონსტანტინეს ასული
**ვადაჭკორია** გურამ არსენის ძე
**ვასაძე** გიზო შალვას ძე
**ვეკუა** შალვა მირიანის ძე
**ვოლკოვა** თამარ კუზმის ასული
**ზაქალაშვილი** ივერი ალექსანდრეს ძე
**ზაკამოლდინა** იდა იასონის ასული
**ზეიკიძე** მზია სოლომონის ასული
**ზარიძე** ლომჯარ ალექსის ძე
**ზარქუა** ამირან შალვას ძე
**ზურაბაშვილი** ზიგურდ ავლიპის ძე
**ზურაბიანი** გიორგი ვასილის ძე
**თავაძე** კონსტანტინე ექვთიმეს ძე
**თამაზაშვილი** ლუარა ვახტანგის ასული
**თევზაძე** სვეტლანა ანტონის ასული
**თოდრია** მზიური მიხეილის ასული
**იასეშვილი** მზია ივანეს ასული
**ივანიშვილი** ბორის ზურაბის ძე
**ილურიძე** კონსტანტინე მიხეილის ძე
**ილურიძე** თამარ ალექსანდრეს ასული
**იმნაძე** დალი შალვას ასული
**იორდანიძე** სოფიო ალექსანდრეს ასული
**იორდანიშვილი** ლამარა ვასილის ასული
**იოსავა** გენადი გიორგის ძე
**იარალოვა** მანანა სარქისის ასული
**იაცუკი** ვლადიმერ პავლეს ძე
**კარაპეტიანი** გიორგი ვართანის ძე
**კალანდარიშვილი** ნელი იროდიონის ასული
**კაჭარავა** გულნარა აკაკის ასული
**კვინიკაძე** ვაჟა იასონის ძე
**კვირბეშვილი** ნუნუ ნიკოლოზის ასული
**კერძაია** ამირან ოთარის ძე
**კეცხოველი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
**კობახიძე** ბადრი პეტრეს ძე
**კოფზიაშვილი** ტრისტან ივანეს ძე
**კოზაშვილი** ელგუჯა ისაკის ძე
**კოკოლაშვილი** მირიან ირაკლის ძე
**კომახიძე** ვაჟა აკაკის ძე
**კორძაძე** ნუნუ ბარნაბის ასული
**კუზილოვა** რუსუდან ფრიდონის ასული
**კუტაშვილი** თემურ ივანეს ძე
**კუპუხიძე** ლავრენტი იოსების ძე
**ლაგაშიძე** დიმიტრი სტეფანეს ძე
**ლანდია** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
**ლაშხი** თემურ გრიგოლის ძე
**ლებანიძე** აკაკი ფარსადანის ძე
**ლეჟავა** ციისანა გიორგის ასული
**ლეზგაშვილი** ჩესი ეხისკელის ასული
**ლეკვეიშვილი** ვერა სევერიანის ასული
**ლეკვეიშვილი** მზია შალვას ასული
**ლომინაძე** ჯუმბერ გიორგის ძე
**ლომაშვილი** ავთანდილ ირაკლის ძე
**ლორია** ვალერი ამბერკის ძე
**ლილუაშვილი** თენგიზ ალექსანდრეს ძე
**მაღრაძე** ელენე ივანეს ასული
**მამალაძე** გულნაზ აკაკის ასული
**მათათაშვილი** ვასილ ივანეს ძე
**მარდალეიშვილი** ვიქტორ ბენედიქტეს ძე
**მათიაშვილი** კობა ივანეს ძე
**მახალდიანი** ვახტანგ ვასილის ძე
**მახარაძე** კონსტანტინე მიხეილის ძე
**მეტრეველი** ნათელა ალექსანდრეს ასული
**მელუა** ნელი გერმანეს ასული
**მენთეშაშვილი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
**მეტრეველი** რუსლან იასონის ძე
**მიქაძე** მიხეილ დავითის ძე
**მიქელაშვილი** რევაზი გიორგის ასული
**მამინოშვილი** ჯუმბერ მიხეილის ძე
**მოსიძე** ვახტანგ მიხეილის ძე
**მოსიძე** ნათელა ლეონტის ასული
**მოხეთიშვილი** ეთერ ლავრენტის ასული
**მუშკუდიანი** თენგიზ ვარლამის ძე
**ნადარეიშვილი** ჯემალ ლევანის ძე
**ნადარეიშვილი** ლია ევგენის ასული
**ნადირაძე** თენგიზ ლევანის ძე
**ნასარიძე** ალევტინა ივანეს ასული
**ნასიძე** ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
**ნასიძე** სულხან ივანეს ძე
**ნატროშვილი** გიორგი კონსტანტინეს ძე
**ნაჭყებია** ვლადიმერ ალექსის ძე
**ნიშნიანიძე** თენგიზ გრიგოლის ძე
**ოვანოვი** ლევან ელზბარის ძე
**ოგანოვი** გიორგი ნიკოლოზის ძე
**ოქროშიძე** ბიჭიკო გიორგის ძე
**ონიაშვილი** მარიამ ივანეს ასული
**ოჩიაური** ირაკლი ალექსის ძე
**პანტელეევა** ანელია იოსების ასული
**პაპაშვილი** ზინა გიორგის ასული
**პატიაშვილი** კობა ილიას ძე
**პირტახია** გივი სამსონის ძე
**პოლოვინკინა** ზინაიდა სიმონის ასული
**ულენტი** ნანა ვარლამის ასული
**რეზნიჩენკო** ედუარდ ალექსის ძე
**რემიზოვი** დიმიტრი ნიკოლოზის ძე
**რუხიშვილი** ჯუმბერ გიორგის ძე
**საბაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის ძე
**საგანელიძე** სიდონია ნიკოლოზის ასული
**საგარეიშვილი** თამაზ გრიგოლის ძე
**საკოვიჩი** გალინა ექვთიმეს ასული
**სარაული** მაყვალა შალვას ასული
**სებისკვერიძე** ლალი ოთარის ასული
**სებუა** ჯემალ მიხეილის ძე
**სელეანინოვა** ნადეჟდა მიხეილის ასული
**სეფიაშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
**სეხნიაშვილი** მერი ზაქარიას ასული
**სოხაძე** თამაზ სიღოვანის ძე
**სულაკაური** არჩილ სიმონის ძე
**ტაბატაძე** ზაირა კონსტანტინეს ასული
**ტიტვინიძე** ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
**ტრიპოლსკი** იაკობ ვლადიმერის ძე
**ტოგონიძე** ოთარ ივანეს ძე
**ფაფიაშვილი** შოთა გიორგის ძე
**ფილიპეი** ვიქტორ შალვას ძე
**ფიცხელაური** ანა დავითის ასული
**ფოცხვერია** ილია ივანეს ძე
**ფოცხიშვილი** მორის თომას ძე
**ფანცულაია** ივანე სერგოს ძე
**ქარელი** ალექსანდრე მიხეილის ძე
**ქარუმიძე** მიხეილ დავითის ძე
**ქარჩავა** გულნარა აკაკის ასული
**ქომეთიანი** პეტრე ანტონის ძე
**ქსოვრელი** კარლო ვლადიმერის ძე
**ღამბაშიძე** ნელი გრიგოლის ასული
**ყოჩიაშვილი** გივი მიხეილის ძე
**ყოჩიშვილი** ბუღდან გრიგოლის ძე
**შავრეშიანი** ეორდან გიორგის ძე
**შარხატუნიანი** ივანე ალბერტის ძე
**შენგელაია** ეღდარ ნიკოლოზის ძე
**შუღლაძე** კალისტრატე გიორგის ძე
**შურღაია** ფრიდონ იონას ძე
**შხვაცაბაია** გიორგი იაკობის ძე
**ჰავჭანიძე** ვლადიმერ ვალერიანის ძე
**ჭეიშვილი** თენგიზ ილიას ძე
**ჭკადუა** ბადურ კადირის ძე
**ჭკადუა** ვალერიან ირინეს ძე
**ჭუმბურიძე** გიორგი ბაგრატის ძე
**ჩადუნელი** გურამ შალვას ძე
**ჩანლაძე** ვახტანგ ირაკლის ძე
**ჩარკვიანი** გელა კანდიდის ძე
**ჩიქოვანი** შოთა ბესარიონის ძე
**ჩიხლიაშვილი** ჯუდუ ვლადიმერის ძე
**ჩხარტიშვილი** შალვა ნოეს ძე
**ჩხაიძე** ანტონ ბაგრატის ძე
**ჩხენკელი** ივანე ნოეს ძე
**ცინცაძე** დავით ევგენის ძე
**ცქიტაშვილი** ციალა გრიგოლის ასული
**ძაგანია** ჯონდერ იპოლიტეს ძე
**ძნელაძე** ტარიელ ამბაკის ძე
**წერეთელი** ქეთევან დავითის ასული
**წულეიხირი** ჯუმბერ აკაკის ძე
**ხაჯალია** კონდრატე ზაქარიას ძე
**ხარაზიშვილი** ბეჟან ბესარიონის ძე
**ხახმიაშვილი** მოშე მორდეხის ძე
**ხვედელიძე** ზინაიდა სერგეს ასული
**ხვედელიძე** თინა არჩილის ასული
**ხმელიძე** ტრიფონ ილიას ძე
**ხოშტარია** თენგიზ სიმონის ძე
**ხუნაშვილი** ალექსანდრე მიხეილის ძე
**ხუნწარია** გალინა ლავრენტის ასული
**ხუციშვილი** გივი რაჟდენის ძე
**ჯავახიშვილი** დიმიტრი ვახტანგის ძე
**ჯამბერიძე** ნოდარ შალვას ძე
**ჯაფარიძე** კოტა გიორგის ძე
**ჯერანაშვილი** ლუდმილა სარდიონის ასული
**ჯიქია** გიური ვარლამის ძე
**ჯოფილი** აკაკი ივანეს ძე
**ჯომარჯიძე** ლევან სიმონის ძე

### ქ. წალენჯიხა

**ბოდოკინა** ლილი ვიქტორის ასული
**ბეიშვილი** ზინაიდა აკაკის ასული
**ხუციშვილი** შოო ვასილის ძე
**ჩომახიძე** ციალა იასონის ასული

### ქ. ჭიათურა

**ბიწაძე** ნანული გერასის ასული
**დეკანოიძე** მიხეილ იპოლიტეს ძე
**მარუაშვილი** ლეილა კალენიკეს ასული
**ჭოხონელიძე** გრიგოლ ნიკოლოზის ძე

### აბაშის რაიონი

**ბოკუჩავა** ნოე სოლომონის ძე
**თოფურია** ლეონა ლევტერის ასული
**ჩაგანავა** ანზორ ალექსანდრეს ძე
**ჩოხელი** მარიამ ალექსის ასული

### ადიგენის რაიონი

**ლომსაძე** გერასიმ ვლადიმერის ძე
**მაჭარაშვილი** გიორგი ილიას ძე
**ხუჯაძე** ეთერ ედიშერის ასული

### ამბროლაურის რაიონი

**გოგრიჭიანი** დიომიდე ფილიპეს ძე
**ენუქიძე** მარიამ კალისტრატეს ასული
**ჭელიძე** ლილი ისიდორეს ასული
**ხაჩიძე** აკაკი ვასილის ძე

### ახალციხის რაიონი

**ველიჯანაშვილი** ანა ალექსის ასული
**მურადაშვილი** ნათელა ვასილის ასული
**ჯინჭველაძე** ოთარ შოთას ძე

### ახალქალაქის რაიონი

**გოგორიანი** ეორა ატურის ძე
**ვართანოვი** ამბარცუმ მიხეილის ძე
**მიქელაძე** ვასა არსენის ძე

### ახალციხის რაიონი

**აკოფიანი** ხანიატურ ბართეგმოსის ძე
**ნასყიდაშვილი** სერგი პავლეს ძე
**კოზაშვილი** მერი ვასილის ასული
**ლაგთაძე** ელენე გრიგოლის ასული

### ახმეტის რაიონი

**ტერტერაშვილი** ციალა შაქროს ასული
**უძილაური** ტარიელ ხვთისოს ძე
**ფიცხელაური** სანა ზაქარიას ძე

### გოგებასოვკის რაიონი

**ოგანესიანი** ნათელა აშოთის ძე
**პოპოვა** ლუბა ივანეს ასული
**თაზოიანი** ფენია გეღამის ასული
**ხაჩატრიანი** ხიმიკ ავეტისის ძე

### გოლნისის რაიონი

**ერაძე** ზაურ შალვას ძე
**მამედოვი** მამედ ალაზ ოღლი
**მანუჩარიანი** როზა გრიგოლის ასული
**ყურაშვილი** სულიკო დიმიტრის ასული

### გორჯომის რაიონი

**აბრამიშვილი** ნინო ოთასების ასული
**ლომიძე** რევაზ ისაკის ძე
**მახარაძე** ამირან ზაქარიას ძე
**ფვანია** ტატიანა ერემიას ასული

### ვანის რაიონი

**ეფრემიძე** მურმან ილიას ძე
**ერემეიშვილი** ჯუმბერ ვახტანგის ძე
**კორძაძე** ციალა ჭიჭიკოს ასული
**რამიშვილი** დარეჯან იასონის ასული

### გარდაბანის რაიონი

**ველიევი** ტელმან აჯარ ოღლი
**კლდიაშვილი** ოთარ ანტონის ძე
**ლეზგიევი** გალეი ახმედ ოღლი
**მათიაშვილი** იური ალექსის ძე

### გეგეჭკორის რაიონი

**გეგია** შალვა შალვას ძე
**ზარქუა** პლატონ რაჟდენის ძე
**ქურდიანი** თალიკო პლატონის ასული
**თოფურია** ბონდო სამსონის ძე

### გორის რაიონი

**გიგაური** გრიგოლ ზაქარიას ძე
**მუსერიძე** რობერტ გიორგის ძე
**პიტავა** ელენე ივანეს ასული
**ცქრიალაშვილი** მაყვალა ივანეს ასული

### გურჯაანის რაიონი

**ანჯაფარიძე** სამსონ ნიკოლოზის ძე
**ღვინიაშვილი** რიმა ნიკოლოზის ასული
**ელიზბარაშვილი** მზია ზაქარიას ასული
**ფროდიაშვილი** თენგურ გიორგის ძე

### დმანისის რაიონი

**ასლამაზაშვილი** ნიკოლოზ გრიგოლის ძე
**ასლანიანცი** მიხეილ არტემის ძე
**გოჯაევი** იბად გუმბათ ოღლი

### დუშეთის რაიონი

**გოგოლაური** ელგუჯა გიორგის ძე
**დარეჯანაშვილი** ნინო ივანეს ასული
**ფსუტური** ტარიელ გიორგის ძე
**შაბურიშვილი** კონსტანტინე დავითის ძე

### ზესტაფონის რაიონი

**გაჩეჩილაძე** მეგი ევსევეს ასული
**კელენჯერიძე** ვლადიმერ სამსონის ძე
**კუხიანიძე** აპოლონ ნოეს ძე
**ლუტიძე** ნუგზარ გიორგის ძე
**თუთაიშვილი** გივი მიხეილის ძე

### ზუგდიდის რაიონი

**არახამია** გივი მელენტის ძე
**ნანავა** ზაირა ნიკოლოზის ასული
**სახურია** ვალიკო იასონის ძე
**უუფუნია** თამარ ანდრიას ასული
**ჭითანავა** ლეილა ალექსანდრეს ასული

### ყაზბეგის რაიონი

**ღუდუშაური** გენადი როსტომის ძე
**ვარძუკაშვილი** ნუგზარ ვლადიმერის ძე
**წოკლაური** ლიზა იაგორის ასული

### ძარელის რაიონი

**გაგლოევი** მათეოს გრიგოლის ძე
**მინდიაშვილი** მედეა ივანეს ასული
**ხაზანდრიშვილი** ელენე იოსების ასული
**ხანიშვილი** ტრისტან სოლომონის ძე

### კასპის რაიონი

**დავითაშვილი** ციალა ვახტანგის ასული
**მათეშვილი** გიორგი თომას ძე
**ყარანაშვილი** მაყვალა სოლომონის ასული
**ხუციშვილი** მზია სოლომონის ასული

### ულიანოვის რაიონი

**გაგნიძე** გიორგი ვასილის ძე
**მჭედლიშვილი** ეთერ არჩილის ასული
**ფანქველაშვილი** ვაჟა ივანეს ძე
**ქყოიძე** მალხაზ ვარლამის ძე

### ხობის რაიონი

**ბასლაია** ლარა ჩაკას ასული
**კაცია** იროდი თეოდორეს ძე
**კვარაცხელია** იური ირიდიონის ძე
**ფვანია** როდინა მიხეილის ძე

### ცაგერის რაიონი

**კოპალიანი** დავთი კაპიტონის ძე
**მეშველიანი** ლეილა გიორგის ასული
**მუშკუდიანი** კარლო სევერიანეს ძე

### წალენჯიხის რაიონი

**გვასალია** ზაურ თევდორეს ძე
**ჯოლუხავა** ჭიჭიკო ეგის ძე
**ზარქუა** თინათინ დურუს ასული
**მიქავა** ზურაბ კაკოს ძე

### წალკის რაიონი

**გულიევი** ბინაფი მამედის ძე
**ნალბანდიანი** რუბენ აბელის ძე
**ჩამურლიევა** ანა სტეფანეს ასული

### წითელწყაროს რაიონი

**ბაღაშვილი** ქეთევან სიმონის ასული
**მამაიაშვილი** ნიკოლოზ პეტრეს ძე
**თარაშვილი** ნიაზი სოლომონის ასული

### წულუკიძის რაიონი

**მარჯანიშვილი** ოთარ ვარდენის ძე
**მაჭარაძე** ოთარ ვიქტორის ძე
**ჩომახიძე** ანგელინა ივანეს ასული

### ცხაკაიას რაიონი

**ლატარია** ნია ესტატეს ასული
**ფოფხაძე** ელენე ალექსანდრეს ასული
**შარტავა** კალისტრატე თეოფანეს ძე
**ჯანელიძე** ნათელა მიხეილის ასული

### ჩოხატაურის რაიონი

**ეღლენტი** ლეილა ვასილის ასული
**ტუღუში** მერაბ ივანეს ძე
**ჯინჭარაძე** ზინა შოთას ასული

### ჩოხორწყუს რაიონი

**გულუა** ციური დავითის ასული
**პაპავა** ლიდა ნიკოლოზის ასული
**პაპავა** იასონ ფარნას ძე
**თოლორდავა** სერგი ნიკოლოზის ძე

### აფხაზეთის ასსრ

**ბელთაძე** თამარ კაპიტონის ასული
**გუბაზი** ივანე ხიგოს ძე
**ვარდანია** ალა მედოს ასული
**ზუხბა** სერგი ლადოს ძე
**იოლიტოვა** თამარ სტეფანეს ასული
**ლომიძე** ბენია ივანეს ძე

### აჭარის ასსრ

**მეტრეველი** ვაჟა ნიკოლოზის ძე
**პატარაია** დავით ივანეს ძე
**ყაჭეიშვილი** მანანა ვახტანგის ასული
**ჯინჭარაძე** ანზორ ნურის ძე

### სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

**გაბოძე** პოლინა გიორგის ასული
**გუჩმაზოვი** ზაურ ილიას ძე
**ლიპინი** სერგი გიორგის ძე
**ტასოევა** ვენერა დავითის ასული.

---

# საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციული ბიულეტენი

## ამერიკის პრეზიდენტი ინდოეთში

**დელი, 2 იანვარი. (საკდისი).** ჩვეულების საზოგადოებრივობისა და პრესის პროტესტები გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ვიზიტმა ინდოეთში. ინდოეთის დედაქალაქში მას დემონსტრანტები შეხვდნენ სამგლოვიარო ალმებითა და ლოზუნგებით, რომლებზეც წარწერილ იყო მოთხოვნა, რომ ხელი აიღონ ნეიტრონული ბომბის წარმოების გეგეგებზე, პატივი სცეს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებებს, გააუქმონ ამერიკის საბჭოდრო ბაზა დიეგო-გარსიას კუნძულზე.

პრესა აშუქებს ჯ. კარტერის ვიზიტს და ერთსულოვნად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამასწინანდელ განცხადებას იმის თაობაზე, რომ აპირებს „რაღდენადმე შეასწოროს“ ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი, ინდოელი ხალხის გარდა არავის არ შეუძლია შეასწოროს ჩვენი საგარეო პოლიტიკა, წერს „პეტრიოტი“. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს გააუმჯობესოს ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან, აღნიშნავს ყოველკვირეული „ბლიტეი“, მან უნდა შეცვალოს თავისი პოლიტიკა ამ რეგიონის მიმართ, და, კერძოდ, გააუქმოს თავისი სამხედრო ბაზები ინდოეთის ოკეანეში.

## ამერიკის პრეზიდენტი ინდოეთში

**ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის განცხადებას, რომელმაც გაიღაშქრა პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ, დაუფარავი კმაყოფილებით შეხვდა ოფიციალური ტელ-ავივი. ამავე დროს მან გამოიწვია მკვეთრი უარყოფითი რეაქცია არაბულ სამყაროში.

პალესტინის საინფორმაციო საგენტო ვაფა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას უწოდებს „მთელი არაბი ერის შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებას“, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა უარყოფას“. ეს პოზიცია, ხაზს უსვამს საგენტო, უგულებელყოფს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებებს. იგი იმ სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია მოსპოს პალესტინელები როგორც ხალხი, გაამარადისოს ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ლიკვიდაცია.

„ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მისწრაფების საწინააღმდეგოდ, რომელთაც სურთ პოლიტიკურად და ეკონომიურად დაიქვემდებარონ არაბული ერი“ ვაფა მოუწოდებს არაბებს კიდევ უფრო განამტკიცონ ურთიერთობა მთელ მსოფლიოში მეგობრებთან, პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან. (საკდისი).

### მოკლედ

## ყოველი მსრბლენ

**მძიმე კრიზისი**

● **პარიზი.** მძიმე კრიზისს განიცდის საფრანგეთის სამკერვალო მრეწველობა. პროფკავშირებს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 1975-1976 წლებში მრეწველობის ამ დარგში ლიკვიდირებულ იქნა სულ 27 ათასი სამუშაო ადგილი. ახლა დათხოვნა მოელის კიდევ 6.000 მკერავს.

**300 ათასი უსახლკარო**

● **ბონი.** დასავლეთ გერმანიაში კვლავ მცირდება სახლთა მშენებლობის ფაქტობრივ. ბონის ქალაქმშენებლობისა და სახლთა მშენებლობის ინსტიტუტის მონაცემებით, 1977 წელს ქვეყანაში აშენდა 23 პროცენტით ნაკლები ახალი ბინა, ვიდრე წინა წელს. უსახლკაროთა რიცხვი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამჟამად 300 ათას კაცს აღემატება.

**ამერიკის მოსახლეობა**

● **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ 1978 წლის პირველი იანვრისათვის შეადგინა 218,2 მილიონი კაცი. განვლილ წელს იგი გაიზარდა 1,7 მილიონი კაცით. ამას იუწყება აღწერის ბიურო.

## მეცნიერების სავალალო მდგომარეობა ჩინეთში

**პეკინი,** (საკდისი). სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის მუდმივი კომიტეტის აქ გამართულ სხდომაზე გამოსვლისას ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ფან ი მ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მეცნიერებისა და განათლების მდგომარეობა ქვეყანაში „სავალალოა“. დაიხარა ბევრი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თითქმის გაუქმებულია ფუნდამენტური და თეორიული გამოკვლევები. ჩინეთის მეცნიერება და ტექნიკა, აღიარა მან, უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ჩამორჩა მსოფლიო დონეს. დაქვეითდა სწავლების ხარისხი, აღარ არის მეცნიერულ-ტექნიკურ მუშაკთა მთელი თაობის აღზრდის შესაძლებლობა. ჩამოთვალა რა ეს და სხვა „გაუგონარი უბედურება“, რომელიც ჩინეთის მეცნიერებას თავს დაატყდა ეგრეთ წოდებული „კულტურული რევოლუციის წლებში“, რომელიც მაო ძე-დუნის მითითებით მოეწყო, ფან ი ი ცდილობდა ყველაფერი დაეშრალებინა „ოთხთა ბანდისათვის“, რომელიც, როგორც ვიცით, შესდგებოდა მაო ძე-დუნის უახლოესი თანამოაზრეებისაგან, და რომელიც ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ დააპატიმრეს.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის მუდმივი კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი სესია მოიწვიონ მომავალი წლის გაზაფხულზე. უკანასკნელად სესია 1964 წელს შეიკრიბა. ამ საკონსულტაციო ორგანოს მთელი რიგი წევრები, რომელნიც ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი შედის, ემსხვერპლა „კულტურულ რევოლუციას“, ბევრი მათგანი დაიღუბა, დანარჩენების ბედი ცნობილი არ არის.

### შრომა და კაპიტალი

## ფერმერთა პროტესტი

**ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს ომის შემდგომ წლებში უდიდესი ფერმერთა საპროტესტო კამპანია მათი მდგომარეობის გაუარესებისა და ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ კორპორაციებს.**

**საპროტესტო მარშები, რომლებიც „ამერიკის სასოფლო-სამეურნეო მოძრაობის“ კოალიციამ მოაწყო, გაიმართა ქვეყნის 40 შტატის ადმინისტრაციულ ცენტრებში.**

**სურათზე: ფერმერთა გამოსვლა დალასში (ტეხასის შტატი).**
**აპ-საკდისის ფოტო.**



---

# ლენინური დეკრეტი 60 წლისაა

**ჰელსინკი,** (საკდისი). **31 დეკემბერს შესრულდა ფინეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ დეკრეტის ხელმოწერის 60 წელი. ქვეყანა ზეიმი ვითარებაში აღნიშნავს მისი ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას.**

ქვეყნის სახელმწიფო საბჭომ ამის გამო მოაწყო საზეიმო დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, პარლამენტის თავმჯდომარე ვ. ჰელე, პრემიერ-მინისტრი კ. სორსა, ქვეყნის მთავრობის წევრები, პარლამენტის დეპუტატები. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა“ ორგანიზაციის, „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელები, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ა. ტიხონოვის მეთაურობით.

საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ვიაიუორიუენენმა და საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ა. ტიხონოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ახალი წლის წინ, თქვა თავის გამოსვლაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, დიდი კმაყოფილებით ვასრულებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დავალებას გულითადად მოგესალმოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მეგობარი ფინეთის მთავრობასა და ხალხს, მოვილოცოთ და გისურვოთ ყოველივე საუკეთესო.

სახელმწიფო საბჭოს დარბაზობათა სახლში ფინეთის მთავრობამ საუზმე გამართა საბჭოთა მთავრობის მიერ ფინეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარების მე-60 წლისთავის გამო. საუზმეზე გამოვიდა პრემიერ-მინისტრი კ. სორსა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ფინეთი მზად არის ყველაფერ განაგრძოს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობაში ურთიერთნდობისა და ხელსაყრელი თანამშრომლობის კურსი.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი და ესაუბრა მას.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის საკითხებზე.

უ. კ. კეკონენმა და საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მაღალი შეფასება მისცეს წელს ფინეთში მოწყობილ ღონისძიებებს, რომლებიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავსა და ფინეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის მე-60 წლისთავს.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდა სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი.

## „კომუნისტის“ ფოსტიდან

### სტუმრად ენგურჰესელებთან

● **ჭალენჯიხა.** ამას წინათ ენგურჰესის მშენებლებს ვოლოგდის ოლქის ჩერეპოვეცის მოცეკვეთა ანსამბლი ეწვია (ხელმძღვანელი ირინა კულტურის დამსახურებული მუშაკი ვ. ასოსკი). მათ ენგურჰესის მშენებლობა დათვალიერეს და ჯვარზენის მუშათა დასახლების კულტურის სახლში თოლოვანი კამბალისა და მოწინავე პესის მშენებლებს დიდი საშეფო კონცერტები გაუმართეს.

**ბ. ალეშიკაია.**

### შეხვედრები ვეტერანებთან

● **ფოთი.** ნიესადგურისა და წისქვილ-ქარხნის მშრომელებმა შრომისა და ბრძოლის ვეტერანებს გულთბილი შეხვედრები მოუწყეს.

ვეტერანმა ბოლშევიკებმა მ. ჩანიბაიამ და ი. ფაჩულიამ წარსულის ეპიზოდები გაიხსენეს და მსმენელებთან საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ, დასასრულ მათ „შრომის ვეტერანის“ მედლები გადასცეს.

ასეთივე შეხვედრა გაიმართა ნავსადგურელებთან, სადაც ვეტერანთა დიდი ჯგუფი სპორტიო სიფლებით დაჯილდოვდა.

**კ. კოშაბიძე.**

### კარგი საჩუქარი

● **თელავი.** № 4 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ქალაქის მშრომელებსა და სტუდენტებს კარგი საჩუქარი მოუმზადა.

ახლახან 88 ოჯახმა ახალმოსახლეობა იზეიმა. პედაგოგიურ ინსტიტუტს კი ახალი სასადილო და 80 ადგილიანი კაფე შეშატა.

**მ. ბიბიაშვილი.**

### პატარებმა გაიხარეს

● **სამტრედია.** ძაფსაღები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის ახლახან ორასადგილიანი სბავშვო ბაღი აშენდა. გიიხარეს პატარებმა, მათ გაჯარგულებაშია ლამაზად მოწყობილი საძილე და სასადილო ოთახები, უამრავი სათამაშო.

**ი. ნუცუბიძე**

## სოფელს გზები ამშვენებს

ამ სიტყვებს თითქმის ყველა სოფელში გაგიგონებთ: თუ გზა კარგია, გამართულია, აქ შეიძლება ხალისიანად ცხოვრობდე.

გეგეჭკორის რაიონს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია აქვს. რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო-საწარმოო უბანი, რომელსაც თითქმის 19 წელია ნ. გაბისონია მეთაურობს, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საგზაო ქსელის ეფექტურებისა და კეთილმოწყობისათვის.

შეკეთდა გეგეჭკორი-დიდი ჭყონის გზა, რომელიც გაგრძელდება კიწიანოლის მიმართულებით, დაწყებულია ნასუპაო-წინაკვერკვე-ლეკაჯაიეს გზის რეკონსტრუქცია. უბანმა დაიწყო მეკანაზებული ასფალტ-ბეტონის ქარხნის მშენებლობა.

მაგრამ შეუფერხებელი მიმოსვლისათვის მაინც ხიდია მთავარი. წინა წლებში საკმაოდ დიდი რაოდენობით ბიგო კაპიტალური ხიდები, მაგალითად, ხევზე, „აბაკუნის“ მისადგომებთან, მდინარე აბაშაზე, კარგი ხიდებია ტარჩენზე, ნოღელაზე, წაჩხურაზე, აბაშაზე და სხვ.

ბებედათის მოსახლეობა წყალნაკლულობის დროს მდინარე ტარჩენზე ფონით გადიოდა, სხვა დროს კი ხახ დაკიდული „ბორდით“ აგრძელებდა გზას, რაც ადგილობრივ მცხოვრებთ ბევრ უსიამოვნებას აყენებდა. იყო დიდი ზიანიც. გადაწყდა ახალი ხიდის აგება. რაიონის საგზაო-საწარმოო უბნის მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს დავალება კარგად შეასრულეს. სოფელი ახალმა ხიდმა დაამშვენა, მისი სიგრძე 26 მეტრია.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

### ხელოვნებისათვის — შემენახველ სალაროში

**თელავი.** წინანდლის, ნაფარეულის, კისისხევის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ხელფასს შემენახველ სალაროში იღებენ. ამ სიახლეს მეურნეობათა მშრომელები მოწონებით შეხვდნენ. მოშა-მოსამსახურეები ახლა უფრო რაციონალურად იყენებენ თავიანთი ოჯახის ბიუჯეტს. შემენახველი სალარო პირადი ანგარიშებიდან გადარიცხავს თანხას კომუნალური მომსახურებისათვის.

(საქინფორმი).

## სამმაგი სიხარული

**სქმი ტყუპი**

**ახალწლის ღამეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ თანამშრომლის უფროსი ლეიტენანტის ალექსანდრე კონდრაშოვის ოჯახში სასიხარულო ამბავი მოხდა: როცა საათის ისრები თორმეტს უახლოვდებოდა, მისმა მეუღლემ ტატიანამ სამი ტყუპი დაბადა.**

**ახლა ახალშობილნი სერგი, ანდრია და ირინე თავს მშვენივრად გრძნობენ. კოლეგებმა გულთბილად მიულოცეს თავიანთ ამხანაგს ეს სამმაგი ბედნიერება. (საქინფორმი).**

**დანაშაული ჩვენს თვალწინ**

# მაღაზიაში და... მახეში

**საიუბილეო** წელი დამთავრდა. რესპუბლიკის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად იმუშავეს და უხვად მოიწიეს ხილ-ბოსტნეული. ეს იგრძნობა დეფიციტიანი ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებშიც. აქ ყოველდღე შეგიძლიათ შეიძინოთ ვაშლი, მანდარინი, კომბოსტო, სხვადასხვა ბოსტნეული. მაღაზიებში გამოჩნდა სასათბურე მეურნეობებში მოყვანილი პამიდორი და კიტრი.

ბევრგან მუშტარს კარგად ემსახურებიან, მაგრამ სამწუხაროდ, ვეხვდებიან სავაჭრო დარგის მუშაკები, რომლებიც ჩვენს თვალწინ ატყუებენ მომხმარებლებს, მშრომელთა ნაამაგარით სპეკულანტებენ და ჯიბეს ისქელებენ.

თვითონ განსაჯეთ. 1977 წლის 29 ნოემბერს თბილისის ხილბოსტანვაჭრობის დირექციამ კრწანისის სასათბურე მეურნეობაში საათანადო საბუთებით სპეციალურად გაგზავნა (მანქანა № 52-44) მძღოლი ვ. სარქისიანი. მას კიროვის ქუჩაზე მდებარე № 102 მაღაზიისათვის უნდა მიეტანა 846 კილოგრამი კიტრი და 1.000 კილოგრამი პამიდორი, ხოლო საქარხნო რაიონის ხილბოსტანვაჭრობის განყოფილებაში — 604 კილოგრამი პამიდორი, რაც სარეალიზაციოდ განაწილდებოდა მაღაზიებში.

სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა. მართალია № 102 მაღაზიამ მიიღო განაწილებით ბოსტნეული. მაგრამ იმის გამო, რომ ავტომანქანის მძღოლს ადგილზე არ დახვდა საქარხნო რაიონის ხილბოსტანვაჭრობის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზ. კერესელიძე, გაუნაწილებლად, არადანიშნულებისამებრ 604 კილოგრამი პამიდორი მიუტანა ამავე რაიონის ხილბოსტნეულის № 23 მაღაზიას. გამგე ს. ლობჟანიძე სიხარულით ცას ეწია: პამიდორს ახლა ვინ მოგვყიდის, ახლა კილოგრამი 30 კაპიკია, 1 დეკემბრიდან კილოგრამი პამიდორის ფასი 2 მანეთი და 50 კაპიკი იქნებაო.

ეს ამბავი რატომ დროზე ვერ გაიგო საქარხნო რაიონის ხილბოსტანვაჭრობის ხელმძღვანელობამ? თუ ეს მოხდა იმიტომ, რომ № 23 მაღაზია პროდუქტების რეალიზაციის გეგმის შესრულებაში ჩამორჩებოდა და მას მეგობრობის ხელი გაუწოდეს, კიდევ არა უშავს რა, მაგრამ ასეა? არა. იგივე საქარხნო რაიონის ხილბოსტანვაჭრობის № 22 მაღაზიამ საქონლობრუნვის გეგმა ნოემბერში შეასრულა 29,2 პროცენტით, ხოლო 11 თვეში — 82,6 პროცენტით. № 23 მაღაზიას კი ნოემბერში გეგმა შესრულებული ჰქონდა 128,8 პროცენტით. გარდა ამისა, ნუთუ № 23 მაღაზის გამგე არ იცოდა, რომ უსაბუთოდ პროდუქტის მიღება არ შეიძლება? მართალია, ზემდგომი ორგანოების ჩარევის შემდეგ ამ მაღაზიის გამგე ს. ლობჟანიძე სამუშაოდან გაათავისუფლეს, საქარხნო რაიონის ხილბოსტანვაჭრობის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს ზ. კერესელიძეს საყვედური გამოეცხადა. დაისჯა ავტომანქანის მძღოლიც. მაგრამ რომ არ შეემჩნიათ?!

რომ იტყვიან, ასი თვალი და ასი ყურია საჭირო!

**შ. ჭოჭუა.**

**ყოველი** წლის მობრძანებას მუდამ განსაკუთრებული სიხარული ახლავს. ასეა წელსაც. რა სჯობს ათასფრად ანთებულ, მშვენიერ ნაძვისხესთან მოლხენას, თოვლის პაპის ტკბილ სიტყვებსა და საჩუქრებს, უთვალავ ატრაქციონებსა და წარმოდგენებზე, თავბრუდამხვევ კარუსელებზე გართობას.

მოსწავლეთა არდადეგებთან დაკავშირებით თბილისის კულტურის კერებში 10-ზე მეტი ნაძვისხეა დადგმული, რომელთა გარშემო ყოველდღიურად ათასობით ბავშვი ლაღობს.

ყოველდღე ზეიმია თბილისის სპორტის სასახლეშიც. კოხტა ნაძვისხე საინტერესო სეანსებზე ბევრ ცუგრუმელა გოგო-ბიჭებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას იზიდავს. როგორც ყოველთვის, წლეულსაც მიმზიდველი და საინტერესოა ნორჩებისათვის განკუთვნილი საახალწლო პროგრამა. ცნობილი მსახიობები სპეციალურად მომზადებული პროგრამით გამოდიან პიონერიბისა და ჩვენი დედაქალაქის სტუმრების წინაშე.

მხიარული არდადეგები გრძელდება.

**სურათებზე:** მარცხნივ — საახალწლო ნაძვისხე სპორტის სასახლეში; ზეიმის მონაწილენი — თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახასლის ნორჩი მოცეკვავეები.

**ს. კილაძის ფოტო.**

**ქართული კულტურის მეგობრები**

# გაცოცხლებული ფრესკის ღიმილი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უმდიდრეს კოლექციათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ძველი ქართული მონუმენტური ფერწერის ასლების ფონდს, რომელშიც რამდენიმე ასეული ექსპონატია. ფონდს საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის დარსებისთანავე და დღესაც ინტენსიურად ივსება აკად. შ. ამირანაშვილის მიერ დასახული გეგმის შესაბამისად. შეგროვილია უნიკალური მასალა, რომლის მიხედვითაც თავისუფლად შეიძლება თვალი გავადევნოთ ძველი ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი დარგის — მონუმენტური ფერწერის ისტორიის ყველა ეტაპს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი ამ ასლთაგან დღეს ორიგინალების როლს ასრულებს. მათი ორიგინალები, სამწუხაროდ, ზოგისა საერთოდ დაღუპულია, ზოგისაც მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და სახეშეცვლილი.

ბევრმა ჩვენმა ცნობილმა მხატვარმა დასდო ამაგი ამ დიდ საქმეს. მათ შორის არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი ტატიანა შვეიაკოვა, რომელმაც მთელი ცხოვრების მიზნად გაიხადა ქართული ფრესკების ასლების გადაღება და მათი კვლევა. მან თავისი მოღვაწეობა ამ ორმოცი წლის წინ დაიწყო და დღესაც დიდი ენერგიითა და თავდადებით განაგრძობს მუშაობას.

ტ. შვეიაკოვას ღვაწლი განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის ალპინისტთა კლუბის დარბაზებში მოაწყეს ხელოვნების მუზეუმმა და საქართველოს მხატვართა კავშირმა მხატვრის სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად.

შესანიშნავად გრძნობს ტ. შვეიაკოვა ქართული ფრესკის აზრობრივ და ემოციურ სიღრმეს, ფერთა სიმდიდრეს და ჰარმონიულობას, კომპოზიციურ და ტექნიკურ თავისებურებებს, ფორმათა და ხაზთა სიტაფეს. მას სრულყოფილად აქვს დაძლეული ფრესკის ასლის გადაღების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა — ქაღალდზე გადმოერთა ორიგინალისა, რომელიც ნაგებობის კედელზე, ე. ი. სრულიად განსხვავებულ მასალაზეა შესრულებული. უზადო პროფესიული ოსტატობა, დიდი დაკვირვება, უაღრესად გაწაფული თვალი და ხელი საშუალებას აძლევს მხატვარს შეუნარჩუნოს ასლს ორიგინალის საერთო ეერი, განწყობილება, ფაქტურა, კოლორისტული ნიუანსები.

მხატვრის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს ისტორიულ პირთა და წმინდანთა სახეები, და ეს ბუნებრივია. მიუხედავად იმ იკონოგრაფიული ჩარჩოებისა, რომელიც ქრისტიანულმა დოგმატიკამ იმთავითვე დანერგა ხელოვნებაში, სხვადასხვა ეპოქის მხატვრები პერსონაჟთა გამოსახვისათვის სრულიად ინდივიდუალურ მხატვრულ და სტილისტიკურ ხერხებს იყენებდნენ. ამა თუ იმ გამოსახულების სწორად ინდივიდუალურმა თავისებურებებმა და ღირსებებმა განსაზღვრა მხატვრის არჩევანი მათი ასლების გადმოღების დროს.

ტ. შვეიაკოვამ კარგად იცის ისიც, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მონუმენტურ მხატვრობაში წარწერებს და ორნამენტულ მორთულობებს. აქვე ისმასაც აღვნიშნავთ, რომ მას შეგროვილი აქვს ქართული ფრესკული ორნამენტის უმდიდრესი და უნიკალური კოლექცია, რომელსაც იგი დიდი ინსპირაციით საგანგებოდ იკვლევს და რომელიც მალე ცალკე ალბომად გამოიცემა.

ტ. შვეიაკოვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მეთოდით მუშაობს. იგი ორიგინალს აფიქსირებს ზუსტად იმ მდგომარეობაში, რა სახეც აქვს ფრესკას ასლის გადაღების მომენტში. ფრესკის დაზიანებული ადგილები თუ გვიანდელი დანამატები მისი ასლების აუცილებელი კომპონენტია. თუმცა დიდია ცდუნება და ხშირად არც თუ ისე ძნელია თუნდაც უმნიშვნელო შტრიხის აღდგენით უფრო ცხადად გამოჰკვეთო ფრესკის თავდაპირველი სახე, მაგრამ მხატვარი ამას ყოვლთვის ჯაბრის, მის მიერ შესრულებული ასლი ზუსტი ისტორიული დოკუმენტია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მხატვრის მუშაობა ასლზე სულაც არ არის მექანიკური პროცესი. პირიქით — ეს არის ჭეშმარიტად შემოქმედებითი აქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართული ხელოვნების დიდი სიყვარული და საქმის ღრმა ცოდნა.

ძველ ქართველ მხატვართა შემოქმედებითი თავისებურებების ძიების დაუოკებელმა სურვილმა გადაალასვინა ტ. შვეიაკოვას ის დაბრკოლებები, რომლებიც მის საქმიანობას ყოველთვის ახლდა თან და რაც მუშაობის შედეგზე არაფრით არ არის აღბეჭდილი. მხედველობაში გვაქვს თვით მასალის შოპოვების სირთულე. ბიჭვინთის მოზაიკა, ატენის თუ ყინწვისის ფრესკები, ქართულ ხელნაწერების მინიატიურები ადვილი მისაწვდომია, მაგრამ სვანეთისა თუ რაჭის მიუვალ, უკაცრიელ ხეობებსა თუ მთებზე აღმართულ ეკლესიებში, დავით-გარეჯის ქარაფებს გადაკიდებულ გამოქვაბულებში მუშაობა (თანაც არა ერთი და ორი დღე), რა თქმა უნდა, ყველას არ ძალუძს. ტ. შვეიაკოვა მიზნის მიაღწევად არასოდეს ძალას არ იშურებდა და არც დღეს ეპუება სიძნელეებს.

მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში წარმოდგენილი ქართული ფრესკის ნიმუშები ზღვაში წვეთია დაგროვილი მასალის საერთო რაოდენობასთან შედარებით; ხოლო ის დიდი რეზონანსი, რომელიც ტ. შვეიაკოვას გამოფენას ჰქონდა, მეტი სიმკვეთრით სკავს ჩვენს წინაშე ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც მსგავსი მეტკვიდრეობის მქონე ბევრ ქვეყანაში კარგახანია მოგვარებულია. ბევრგან (მაგალითად, იუგოსლავიაში) არსებობს ფრესკების სპეციალური გალერია-მუზეუმები, რომლებიც დღეს მთელ მსოფლიოში ძველი ხელოვნებისადმი გაღვიძებული განსაკუთრებული ინტერესის გამო, დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თავისუფლად შეიძლება ანალოგიური გალერია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმთანაც შეიქმნას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ამისათვის ბევრად უფრო მყარი საფუძველი გვაქვს. ხელოვნების მუზეუმი ფლობს არა მარტო ფრესკების ასლებს, არამედ მათს ორიგინალებსაც (ბერთუბნიდან, ნაბახტეფიდან და სხვა ეკლესია-მონასტრებიდან). აქვე, ძველთან ერთად, უნდა გამოიფიქროს თანამედროვე მონუმენტური მხატვრობის რჩეული ნიმუშებიც, რაც სრულ შთაბეჭდილებას შეუქმნის მაყურებელს ქართული ხელოვნების ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარების შესახებ უძველესი დროიდან დღემდე.

**თამაზ სანიკიძე,**
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.





ამ დღეებში სოფელ ლესელიძის ახალმა სავაჭრო ცენტრმა (ქ. გაგრის ზონა) პირველი მყიდველები მიიღო.

ვრცელ დარბაზებში, რომელთა ფართობიც ხუთას კვადრატულ მეტრს აღემატება, მოსახლეობას ემსახურება სამრეწველო და სასურსათო საქონლის სექციები. იქვეა კაფე და ბარი.

ეს პირველი ამ ტიპის სავაჭრო საწარმოა სოფელში, რომელიც ადგო ცეკავშირის „საქკოპშენის“ № 7 ტრესტის სამშენებლო სამმართველომ.

**სურათზე:** სოფელ ლესელიძის სავაჭრო ცენტრი.

**ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# მინისქვრა თბილისში

2 იანვარს თბილისში, 10 საათსა, 31 წუთსა და 38 წამზე ადგილობრივი დროით მოხდა მიწისძვრა, რომლის სიმძლავრე 4-5 ბალს აღწევდა. მისი ეპიცენტრი მდებარეობს რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 60 კილომეტრის დაშორებით — ჯავახეთის ზეგანზე, დმანის-წალკის დასახლებული პუნქტების რაიონში.

სეისმოლოგიური ობსერვატორიის — „თბილისის“ სპეციალისტთა წინასწარი მონაცემებით, მიწისქვეშა ბიძგები ეპიცენტრში 6-7 ბალის სიძლიერისა იყო.

ბორჯომი-ბაკურიანის რაიონსა და დუშეთში მიწისძვრის სიმძლავრე 4 ბალს აღწევდა, ერევანში — 3-4 ბალს, ონსა და გეგეჭკორში — დაახლოებით 2 ბალს.

მიწისძვრის ეპიცენტრში უკვე გაეგზავნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტების სპეციალისტთა კომპლექსური ექსპედიცია. დმანისი-წალკის რაიონში მეცნიერები განახორციელებენ მიწისძვრის ეპიცენტრული ზონის ტერიტორიის მაკროსეისმურ კვლევას, სპეციალური უზუსტესი აპარატურის მეშვეობით კი მიიღებენ დამატებით სეისმურ მონაცემებს.

ჯავახეთის ზეგანის რაიონი სეისმური თვალსაზრისით კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური რეგიონია. აქ ახლა მამდინარეობს საკმაოდ ინტენსიური ტექტონური პროცესები, აცნობეს საქინფორმის კორესპონდენტს კ. ცხომელიძეს სეისმოლოგიური ობსერვატორია „თბილისის“ გამგემ, გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. გოცაძემ და განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ე. პატარაიამ.

მოძრავი მთის ქანების მიწისქვეშა გადაადგილების შედეგად აქ მიწისძვრები საკმაოდ ხშირია. დღეს მომხდარი მიწისძვრა ყველაზე ძლიერია ამ ბოლო წლების მიწისძვრებს შორის. მაგალითად, 1959 წელს ჯავახეთის ზეგანზე, ახლანდელი ეპიცენტრული ზონის სამხრეთით, ტბა მადატაპის რაიონში, რეგისტრირებული იყო 7-8 ბალის სიძლიერის მიწისძვრა.

**ეს საინტერესოა**

## 700.000 წლის წინანდელი ადამიანი

რუმრუნ საკდესის კორესპონდენტი იუწყება, ამას წინათ საბერძნეთის ქალაქ პეტრალონეში, სალონიკიდან 32 კილომეტრზე ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის ჩონჩხი. გამოჩენილი ბერძენი მეცნიერის, საბერძნეთის ანთროპოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის არის პულიანოსის აზრით, პეტრალონეში ნაპოვნი ჩონჩხი უძველესია ევროპაში აღმოჩენილთა შორის.

პეტრალონელი ადამიანის ძვლების მიწიდან ამოღება ძალიან ძნელი იყო, ვინაიდან ხელის მეკარებისთანავე იშლებოდა. მაგრამ თავის ქალა მაინც უკეთ არის შემონახული. რადიაქტიური მეთოდით მეცნიერებმა დაადგინეს მისი ასაკი — 700 ათასი წელი.



# პირველად!

## ქართველი პროგლქმისტის ოქროს მედალი

**საბოლოოდ** შეჯამდა და გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის მორიგი XII პირადი პირველობის შედეგები საჭადრაკო კომპოზიციაში, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა ქართულ საჭადრაკო ეტიუდს.

გამოჩენილი საბჭოთა პრობლემისტის ა. დომბროვსკის ხატოვანი გამოთქმით, ქართულ ჭადრაკს მყინვარწვერის მსგავსად ორი მწვერვალი აქვს — სახელგანთქმული მოჭადრაკე ქალები და საეტიუდო კომპოზიცია. ეს ლიტონი სიტყვა არ არის! მართლაც, ჩვენი შესანიშნავი ქალთა საჭადრაკო სკოლის შემდეგ ყველაზე დიდი გამარჯვებები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე საეტიუდო სკოლას აქვს მოპოვებული. ხშირად აღუნიშნავთ ჩვენს კომპოზიტორებს მოჭადრაკე ქალების სპორტული წარმატებები მათდამი მიძღვნილი ნაწარმოებებით. ახლა კი, „საპასუხო სვლა“ ქალებს ეკუთვნით:

**„მთელი გულით ვულოცავ საბჭოთა კავშირის მე-12 პირად პირველობაზე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობას და ოქროს მედალს გია ნადარეიშვილს, რომლის გამარჯვება დამახასიერებელი და კანონზომიერია. მნიშვნელოვანია დავთ გურგენიძის ვერცხლის მედალი და ირინა კრინელისა და რევაზ თავარიანის მე-7-მე-8 ადგილები.**

**ასევე სასიხარულოა ი. კრიხელის მიერ ბრინჯაოს მედლის მოპოვება მრავალსვლიან ამოცანებში.**

**ჩვენს სახელოვან კომპოზიტორებს ვუსურვებ კიდევ მეტ წარმატებებს! ნ. გაფრინდაშვილი“.**

რა დასამალია, რომ საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილის გამარჯვებას საკავშირო ჩემპიონატში კარგა ხანია ელოდა ჩვენი საჭადრაკო საზოგადოებრიობა. ცნობილია, რომ საბჭოთა ეტიუდისტებს შორის არსებული მწვავე კონკურენციის პირობებში ამ ტიტულის მოპოვება ერთობ ძნელი და საპატიო. ამას თან ერთვის კომპოზიციის ნაწარმოებთა შეფასების მეტად რთული პრობლემა. ასე რომ, პირველობის ყოველ მონაწილეს ორი დიდი ძნელი ზღუდის — მსჯის ეკმოვნების და კონკურენტთა ნაწარმოებების — გადალახვა უზდებოდა. და სასიხარულოა, რომ ქართული საეტიუდო სკოლის ლიდერმა ამ გამარჯვებას მიაღწია. „კომუნისტის“ მკითხველება კარგად იცნობენ გ. ნადარეიშვილის სპორტულ წარმატებებს, მის ორგანიზატორულ, სამსაჯო და ლიტერატურულ მოღვაწეობას. ქვემოთ მოგვყავს ჩვენი კორესპონდენტის საუბარი ჩემპიონთან.

**— რას გვეტყვით ნაკავშირო ჩემპიონატის შესახებ?**

— პირადი პირველობა, კონკურსებისა და ტურნირებისაგან განსხვავებით, კომპოზიტორთა შეჯიბრების შედარებით ახალი ფორმაა. იგი პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიმუშავეს, ხოლო სისტემატური ხასიათი მას სამამულო ომის შემდეგ მიეცა. ამ ხნის განმავლობაში ყველაზე გამოჩენილი ჩემპიონები იყვნენ **მ. ლიბურკინი** (მოსკოვი), **ვ. კოროლკოვი** (ლენინგრადი) და განსაკუთრებით **ჰ. კაპარიანი** (ერევანი), რომელიც თბილისში დაიბადა და წლების განმავლობაში აქ ცხოვრობდა.

ჩემპიონატის უკანასკნელი ფორმულის მიხედვით მსაჯი აფასებდა ყოველი მონაწილის ორი წლის ნამუშევარს. სასიხარულოა, რომ ქულების შეჯამების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ოთხი წარმომადგენელი ფინალში მოხვდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს ქართული ეტიუდის დიდ შესაძლებლობებს.

**— თქვენ იმ ეტიუდისტთა რიცხვს ეკუთვნით, რომელთა ნაწარმოებებსაც ინტერესით ეცნობიან და აფასებენ დიდოსტატი მოჭადრაკეები. მათ შორის უნდა დავასახელოთ მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, მ. ეივე, ი. ავერბახი და სხვები, ბ. სპასკი კი თავის ერთ-ეოთ ინტერვიუში თქვენს მიერ დაფაზე შექმნილ საჰყაროს „საჭადრაკო დისნეილენდი“ უწოდა. ამასთან დაკავშირებით რა შეიძლება ითქვას საერთოდ მოჭადრაკეთა და ეტიუდისტთა ურთიერთკავშირზე?**

— ეს კავშირი ძირითადად საჭადრაკო პარტიისა და მხატვრული ეხდშპილის, ანუ ეტიუდის ურთიერთობიდან გამოძღინარეობს. ამეამად ძნელია მოიძებნოს ძლიერი მოჭადრაკე, რომელიც არ იცნობდეს საეტიუდო ხელოვნების ნიმუშებს, ამ ფაქტმა და ზოგიერთი დიდოსტატის დადებითმა დამოკიდებულებამ ჩემი ნაწარმოებებისადმი გამაბედვინინა ორიგინალური წიგნის შექმნა, რომელზედაც ახლა ვმუშაობ. წიგნში სხვადასხვა ავტორთა საეტიუდო „მარგალიტები“ განხილული იქნება მრავალი საბჭოთა და სახლვარგარეთელი დიდოსტატის თვალთა. იქედან მაქვს, რომ მათი კომენტარების საშუალებით კომპოზიციის მოყვარულთა წინაშე ნათლად გამოიკვეთება ის ხიდი, რომელიც ჭადრაკის პარტიასა და ეტიუდს შორის არსებობს.

**— ამემოდგომაზე „პოვადაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. ბოტვინიკმა მკითხველებს ამცნო, რომ მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა „ხელოვნურმა გონებამ“ მოჭადრაკემ — ელექტრონულ-გამოთვლელმა მანქანამ „პიონერმა“ წარმატებით ამოხსნა თქვენი ერთ-ერთი რთული ეტიუდი. როგორ აფასებთ ამ „საეტიუდო ექსპერიმენტის“ მნიშვნელობას კომპოზიციისათვის?**

— რამდენადაც ვიცი, „პიონერმა“ შარშან პირველად ამოხსნა რ. რეტის სახელგანთქმული სპაიკო ეტიუდი. ხოლო პროგრამის შედგომი სრულყოფის შემდეგ — ზემოხსენებული ნაწარმოები. თვითონ ის ფაქტი, რომ მანქანამ დაიწყო ყველაზე რთული ამოსახსნელი საკომპოზიციო ანარის — ეტიუდის შინაარსის „გაშიფვრა“, სპეციალისტების ახალ დიდ მიღწევაზე მიტყველებს და გვაფიქრებინებს, რომ „ელექტრონული ინტელექტის“ საჭადრაკო განვითარება სწრაფად მიდის წინ. იმის შეგნება, რომ კომპოზიცია ხელს უწყობს მეცნიერების პროგრესს, უდავოდ სასიხარულოა და ზრდის ჩვენი შემოქმედების მნიშვნელობას.

**საუბარი ჩაიწერა**
**ს. ახალკაცმა.**

**კრეტენდენტთა ფინალური**

## გაგრძელდება თუ არა მატჩი?

**ბელგრადი, 2 იანვარი.** (საკდესი). მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ერთ-ერთმა მონაწილემ ვ. კორჩნოიმ განაცხადა, ვტოვებ ბელგრადს და ვწყვეტ მატჩში გამოსვლას, რადგან მსურს უმაყურებლოდ თამაში, მატჩის ორგანიზატორები კი ამაზე უარს მეუბნებიან და იმიზეზებენ მონაწილეებთან ერთად შემოშავებულ შეჯიბრების პირობებსო. შედეგად კორჩნოიმ განაცხადა, რომ მზად არის მოიწვიოს პრესკონფერენცია ციურიხში, რათა ჟურნალისტებს გააცნოს თავისი შემდგომი გეგმები, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ განაცხადა, რომ მაინც განაგრძობს მატჩს.

გამოირკვა, რომ ამ დღეებში კორჩნოი იუგოსლავიიდან არსადაც არ წასულა და მთელი თავისი განცხადებებით, როგორც აქ მიაჩნიათ, ცდილობს ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს მეტოქეზე და მატჩის ორგანიზატორებზე.

მატჩის მთავარმა არბიტრმა ბ. კაჯიჩმა განაცხადა, რომ შემდეგი პარტია დანიშნულია 2 იანვარს და რომ კორჩნოის მოთხოვნა — უმაყურებლოდ ითამაშოს — დაკმაყოფილებული არ იქნება.

# წელი გამარჯვებით დაიწყეს

**ტოკიო,** 2 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის ჰოკეისტთა ხაკრებმა ახალი, 1978 წელი დაიწყო „ვინიპეგ ჯეტსის“ პროფესიულ კლუბზე გამარჯვებით — 5:1 (0:1, 4:0, 1:0).

ეს იყო შეტოქეთა ზედიზედ მესამე შეხვედრა იაპონიის დედაქალაქში. როგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველმა ორმა შეჯიბრებამ ავრეთვე წარმატება მოუტანა ჩვენს ხაკრებს — 7:5 და 4:2.

ამჯერად პირველი შაიბა მოხვდა სიდელნიკოვის კარში. მაგრამ შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტებმა ხუთჯერ აანთეს წითელი ძუძი კანადელთა კარზე. ორჯერ ეს ძოსდიხა ჩვენს გუნდში, აღიარებულმა საუკეთესო მოთამაშემ ხარლამოვმა, თითო-თითოჯერ — ცოგანკოვმა, პეტროვმა და ლებედევმა.

ახლა სსრ კავშირის ნაკრები უნდა გაემგზავროს კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ოთხიდან თერთმეტ იანვრამდე ჩვენი ჰოკეისტები კიდევ ექვსჯერ შეეჯიბრებიან ვანკუვერის კლუბებს.

**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**


**ტელევიზია**

**3 იანვარი**

**პირველი პროგრამით**

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — დილის ვარჯიში (მოსკოვიდან), 09.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „არიცა მზიურ ქალაქში“ IV სერია, პრემიერა (მოსკოვიდან), 10.10 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „თქვენ, პეტია არ გინახავთ?“, 11.45 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლესი“ IV, V და VI სერია (მოსკოვიდან), 19.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „აბა, დამაცადე“ (მე-3 გამოშვება), 19.20 — სოციალისტური ცხოვრების არსი და ხალხთა კეთილდღეობ